

499.962.1

7-364

ფ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბარეჯოს რაიონის ონოპასტიკონი
(ფონეტიკურ-სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი)

სპეციალობა: 10. 02. 01 – ქართული ენა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაზოგებლად წარმოდგენილი დისერტაციის
ავტორეფერატი

თბილისი
2002

ფილოლოგიის
ინსტიტუტი

Handwritten signature


ტირაჟი 100

დაიბეჭდა სტამბა „ვაჟირუსში“
თბილისი, ჩიტაძის ქ. №9

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ სერგია

- ოფიციალური ოპონენტები:
1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ზურაბ ჭუშბურთიე** (10.02.01)
 2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **უშანგ სახლოხუციშვილი** (10.02.01)



დისერტაციის დაცვა შედგება 2002 წლის „ 13 “ „ მარტს “ „ 14 “ საათზე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის P.10.01 №7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (380028, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, კორპ. 1) აუდ. 93.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (380047 ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2)

ავტორეფერატი დაიგზავნა 2002 წლის „ 8 “ „ თებერვალს “

- 1811 -

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი *ქვიციანი* (გ.ი. წიბახაშვილი)

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

პრობლემის აქტუალურობა. ქართული მდიდარი ონომასტიკონი ჯერ კიდევ მთელი მოცულობით შესწავლილი არ არის. საკვლევი საქართველოს მრავალი რეგიონის (რაიონის, ქალაქის, სოფლის) ონომასტიკონი. ამ თვალსაზრისით საგარეჯოს რაიონის ტოპონიმების. ანთროპონიმების. პიდრონიმების, ზოონიმების შესწავლა და ერთ ნაშრომში მოქცევა მეტად ღირებულია და აქტუალური. თუ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეს ასეთნაირად შევისწავლით, გაკეთდება დიდი და საშური საქმე არა მხოლოდ აწმყოსათვის, არამედ მეცნიერული მომავლისათვის.

ნაშრომის ძირითადი მიზანი იყო, მონოგრაფიულად შეგვესწავლა დღემდე ხელუხლებელი საგარეჯოს რაიონის ონომასტიკონი, რისთვისაც მასალები შევავროვეთ რაიონის 43 სოფელსა და ქალაქ საგარეჯოში.

მეცნიერული სიახლე. ნაშრომი წარმოადგენს საგარეჯოს რაიონის ონომასტიკონის პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას და ამაშია მისი მეცნიერული სიახლე, რაც კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში: რაიონში აღმოჩნდა ათასამდე ტოპონიმი და ორასამდე პიდრონიმი, რომლებიც ლექსიკონის სახით არის წარმოდგენილი დისერტაციაში. აქედან სპეციალისტებს გამოკვლეული აქვთ მხოლოდ რამდენიმე. ყველა დანარჩენის ფონეტიკურ-სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი პირველად დაამუშავებული ჩვენ მიერ. გამოთქმული გვაქვს ახალი ეტიმოლოგიური თვალსაზრისი ტოპონიმ გარეჯაზე. ყურადღება გავამახვილეთ გარეკახურისათვის დამახასიათებელ რიგ თავისებურებებზე. ცალკე გამოვყავით და ავხსენით უცხოენოვანი ტოპონიმები (86) და პიდრონიმები (22).

ანთროპონიმებში განვიხილეთ ქართული და უცხოენოვანი სახელები და გვარები. მოცემული გვაქვს მათი სემანტიკური კლასიფიკაცია. ტრადიციული გაგება, რომ “უძველესი საკუთარი სახელები, რომლებიც მომდინარეობენ ცხოველთა, ფრინველთა, თევზთა... სახელწოდებებისაგან, მეტსახელებისაგან წარმოსდგებიანო” – ვერ გავიზიარეთ. საკუთარი სახელი – მეტსახელებისაგან, ზედმეტი სახელისაგან კი არ მოდის, არამედ ის არის პირველი, მთავარი, არსებითი. როცა ადამიანს სახელი არა ჰქვია, არა აქვს, როგორ შეიძლება საუბარი მეტსახელზე, ზედმეტსახელზე? მეტსახელი ნიშნავს, რომ ადამიანს უკვე აქვს ძირითადი სახელი, მეტსახელი კი - დამატებითია.

აღსანიშნავია, რომ გარეკახურში უკვე ტრადიციად იქცა მეტსახელთა შერქმევა. რაიონში მეტსახელი თითქმის ყველას ჰქვია, ხშირ შემთხვევაში, იგი ბავშვობიდან იღებს სათავეს, რომელიც შეიძლება სიბერემდე გაჰყვეს ან შეიცვალოს.

რაიონის ზოონიმიში შეინიშნება თავისებურება – საკუთარ სახელს არქმევენ ძროხას, ხარს, კამეხს, ცხენს, ძაღლს, ვაცს, სახედარს. სახელი არა აქვს: ცხვარს, ღორს, შინაურ ფრინველებს: ქათამს, იხვს, ინდაურს, ბატს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, რაც, ვფიქრობთ, ნორმიდან გადახვევად არ ჩაითვლება.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ საგარეჯოს რაიონის ონომასტიკონს პირველად შექცა ყურადღება და დამუშავდა იგი მეცნიერულ დონეზე. მოპოვებული მასალის ანალიზი